# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ხუთშაბათი 21 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ.

„ი მ ე რ ე თ ი“

თბილისის ქუჩა, ფარნაოზის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 134 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 134

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „ი მ ე რ ე თ ი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მახეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція ,,ИМЕРЕТИ'' Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

## უ დ ი დ ე ს ი

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

### კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძ ლ ი ე რ  ი ა ფ ა თ.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

**კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:**

| | |
|---|---|
| 1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . | ფასი 6 შაური. |
| 2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . | „ 2 აბაზი. |
| 3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . | „ 1 „ |
| 4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . | „ 7 შაური. |
| 5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . | „ 1 მან. |
| 6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . . | „ 3 შაური. |
| 7. მისივე. ისლამი. . . , . . . | „ 3 „ |
| 8. მოძრავი ანბანი . . . . . . | „ 2 „ |
| 9. იგივე კარდონზე . . . . . . | „ 6 „ |

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

| | |
|---|---|
| 1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . | ფ. 17 შაურ. |
| 2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . | „ 3 აბაზი. |
| 3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . | „ 1 „ |
| 4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . | „ 10 შ. |
| 5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . | „ 2 „. |
| 6. ალ. ჭიჭინაძე. გეოგრაფია . . . . | „ 3 აბ. |
| 7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . | „ 5 შ. |
| 8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა. | |
| 9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . | „ 14 შ. |
| 10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. | „ 10 „ |
| 11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . . . | „ 1 აბ. |

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

თავადი **დავ. ოტ. ნიჟარაძე**

სთხოვს ქუთაისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთ მობრძანდენ საგანგებო

## კ რ ე ბ ა ზ ე დ

დასასწრებლად, რომელიც არის დანიშნული 24 აგვისტოს, 1914 წ. 11 საათზე, დეპუტატ საკრებულოს დარბაზში, განსახილველად მლიერ საყურადღებო კითხვებისა.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

## ძ რ ი ე ლ  ი ა ფ ა თ

იყიდება ერთი ცხენის შესაბამი ეტლი

**ყოველივე მოწყობილობით, გარდა ცხენისა.**

პირობების გაცნობა შეიძლება წერეთლის სახლში. ოლდენბურგის ქუჩა, № 14.

ექიმის იკ. ბოკერიას

## ს ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

## შექსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შ ე ქ ს პ ი რ ი ს

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ღ შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს -1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა **კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

**ექიმი** **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

**ექიმი** **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9-12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის** **გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

**ქ. ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

**ექიმი** **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

**დამეკარგა ატტესტატი 471,** ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოშტარიასი.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

შეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტერბურგი.** 18 აგვისტო. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბიდან ოფიციალური. რადგანაც მტერმა ყველა ფრონტებიდან ერთბაშათ მოიშველია თავისი ჯარები, რამაც ხელი შეუწყო რკინის გზის შტოთა სიმრავლემ, გერმანიის ძლიერი ჯარი ერთბაშათ თავს დაესხა ჩვენს ორ კორპუსამდე ჯარს, საშინელი და ძლიერი სროლა აუტეხა ზარბაზნებიდან და დიდი ზარალი მიაყენა. როგორც იუწყებიან, ჩვენი ჯარი გმირულად იბრძოდა. გენერლები—სამსონოვი, მარტოსი, პესტიჩი და შტაბის ზოგიერთი მოხელენი დაიღუპნენ. ამ სამწუხარო მოვლენის გამოსასწორებლათ ყოველგვარი ზომებია მიღებული. უმაღლეს მთავარ სარდალს ღრმათ სწამს, რომ ღმერთი გვიშველის და ეს ზომები უშედეგოთ არ დარჩება, ავსტრიის ფრონტზე მედგარი ბრძოლა სწარმოებს.

**პეტროგრადი.** 18 აგვისტო. მიწათ მოქმედების მთავარ გამგის მოხსენებაზე ფალცფეინთა ოჯახისაგან 50,000 მან. შეწირვისა გამო დაჭრილთა და ავათმყოფ ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა მადლობა გამოეცხადოს ფალცფეინების ოჯახობას უხვი შემოწირულებისათვის. რკინის გზათა სამართველომ წინადადება მისცა სახელმწიფო რკინის გზების უფროსებს და კერძო რკინის გზების გამგეებს—რკინის გზის ბუფეტების ახალ მოიჯარადრეებს, ხელშეკრულობის განახლების დროს ძველ მოიჯარადრეებ ან შეამცირონ ხოლმე არაყისა და საზოგადოთ სპირტეულის ვაჭრობა.

**ბუქარესტი.** 18 აგვისტო. ტალაათ-ბეი სოფიის გზით კონსტანტინეპოლს გაემგზავრა.

**კოპენჰაგენი.** 18 აგვისტო. სტეფანი იუწყება, რომ ვოლონში მცხოვრებნი შეერთდენ და აღმართეს წითელისა და შავი ფერის დროშა. დღეს აჯანყებულნი მეგობრულათ შევლენ ქალაქში და პრინც ვიდსა და მის მთავრობას გადაყენებულათ გამოაცხადებენ.

ვოლონის ნოტამ ლების მიერ უფლების ხელში ჩაგდებას საერთო ენტუზიაზმი მოყვა.

**პარიზი.** 18 აგვისტო. ჰაეროპლანი კვლავ დაჰფრინავდა პარიზის თავზე. სამხედრო სამინისტროს ცნობა: 18 აგვისტოს, საღამოს 6 საათსა და 45 წუთზე საფრანგეთის ჯარების ორთავე ფრთების საერთო მდგომარეობამ ცოტა რამ ცვლილება განიცადა. მარცხენა ფრთაზე გერმანელებმა ცოტა წინ წამოიწიეს, ცენტრში საგრძნობელი ცვლილება არ მომხდარა. ლოტარინგიაში საფრანგეთის ჯარებმა რამდენიმე კერძო წარმატება განიცადეს.

**ბელოსტოკი.** 19 აგვისტო. პრუსიის სამზღვრებიდან დაჭრილები მოჰყავთ. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთები ამაფეთქებელ ტყვიით არიან დაჭრილნი.

**პარიზი.** 18 აგვისტო. ოფიციალური. ვოგეზების რაიონში ჩვენი ჯარები თანდათან წინ იწევენ. ლოტარინგიაში, სადაც ნამდვილი საალყო ომი ხდება, ორი დღის განმავლობაში ჩვენ დავამარცხეთ კრონპრინცის ჯარი სენკურ-დონგუონის რაიონში. ნევშატო-პოლოველის რაიონში ჩვენ ცალ-კერძო მარცხი განვიცადეთ, რისგამოც იძულებული ვიყავით მაასისაკენ დაგვეხია. ამ ჟამად საერთო ბრძოლა სწარმოებს მაასისა და რეტელს შუა.

კატოსა და კამბრუს რაიონებში გერმანიის ბევრათ უფრო მრავალრიცხოვანმა და ძლიერმა ჯარმა იერიში მიიტანა საფრანგეთ-ინგლისის ჯარებზე და სამხრეთით დაახევია. ამ სამი დღის წინათ სენკანტენ-ვერვენის რაიონში მოხდა გენერალური ბრძოლა. ამავე დროს გამპერონის რაიონში ჩვენი ჯარების მარჯვენა ფრთამ უკუაგდო და უაზოსკენ დაახევინა გერმანელთა გვარდიას და მეათე კორპუსს, მაგრამ გერმანელთა მარჯვენა ფრთის გამარჯვებისა გამო, ჩვენ უკან დავიხიეთ. ჩვენი ჯარი ფაქტიურად არსად არ შერყეულა და ჩინებულ გუნებაზეც არის. დანაკლისი შევსებულ იქნა რეზერვებით.

**ანტვერპენი.** 18 აგვისტო. ხმა დადის, რომ პერონის მიდამოებში გენერალმა პომ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა და გერმანელებს 50,000 მეომარი მოაკლო. დაწვრილებითი და ნამდვილი ცნობების გაგება ჯერ ვერ ხერხდება.

**ტოკიო.** 18 აგვისტო. კიოჩაოს მახლობლად იაპონელებმა დაიპყრეს გერმანელების კუთვნილი კუნძულები: ტაიკუნგტაი, ტიასკუნგტაუ და ჩალენტაუ.

**ლონდონი.** 18 აგვისტო. ანტვერპენიდან იუწყებიან, რომ ბრიუსელში მშვიდობიანობაა. ის ცნობა, რომ გერმანელებმა ბელგიიდან ჩრდილო აღმოსავლეთით დაიხიეს, მართლდება. ბრიუსელში სულ 3000 მეციხოვნე თუ და იქნება.

**პეტროგრადი.** ჯარისათვის სურსათის დასამზადებელი ორგანიზაცია მიწათ მოქმედების მთავარმაგამგეობამ უკვე ჩამოაყალიბა. თითოეულ გუბერნიაში ამ საქმის გამგეთ იქნება განსაკუთრებული რწმუნებული, რომლის დაუკითხავადაც არავის ნება არ აქვს იყიდოს პური ხაზინისათვის ესევე რწმუნებული უჩვენებს ფასებსაც. თითოეულ გუბერნიისთვის წინდაწინვე განსაზღვრულია ფასები და რაოდენობა დასამზადებელ საქვებისა. თუ სადმე ფასმა აიწია, სპეკულიაციის თავიდან ასაცილებლათ, მთავარ რწმუნებულს სყიდვის საქმე გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეში და დიკის ფქვილის მაგივრათ ყიდულობს უბრალო დასაფქვავ ხორბალს, რომელიც ბევრი მოვიდა სხვა და სხვა გუბერნიებში და რომლის ფასებიც ამ ჟამად ძალზე დაცემულია, რადგანაც დროებით სხვა ქვეყნებში აღარ იგზავნება რწმუნებულებათ დანიშნულნი არიან სახელმწიფო საბჭოს წევრები.

**ჩიფუ.** 19 აგვისტო. იაპონია-გერმანიის ომის გამო ჩიფუსა და მთელ ჩრდილო შანდუნში სამხედრო წესები გამოცხადდა.

**სტოკჰოლმი..** 14 აგვისტო. პეტროგრადში მომქმედმა დაჭრილთა დამხმარებელმა შვეციის საზოგადოებამ მოწოდებით მიჰმართა აქაურ ქველმოქმედთ ხელი შეუწყონ ომის მსხვერპლთა ტანჯვა-ვაების შემცირებას. პრესა გულმხურვალეთ შეეგება ამ მოწოდებას.

**ლონდონი.** 19 აგვისტო. დათხოვნის წინ თემთა პალატაში ლლოიდჯორჯმა განაცხადა: მთავრობამ გადასწყვიტა მორატორიუმი განგრძობილ იქმნეს 21 სექტემბრამდე. ის გაცხარებული კამათი, რომელიც უკანასკნელ სხდომებზე მოხდა, შემთხვევითი მოვლენაა და ამ კამათს პოლიტიკურ მდგომარეობაზე სერიოზული გავლენა არ ექმნება. ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარი შერეული კომისია მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ გაუგებრობა დააცხროს და საჭირო შეთანხმება გამოიმუშაოს.

**კაპშტადტი.** 19 აგვისტო. ფერადოვან მცხოვრებთა მიტინგზე ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: დაცულ იქმნეს ერთგულება ინგლისისადმი შესდგეს კორპუსი 5000 ფერადოვან მოხალისეთაგან ბრძოლის ველზე გასაგზავნათ და დაარსდეს შემწეობითი ფონდი სამხედრო საჭიროებისათვის.

**თფილისი.** რადგანაც ოსმალეთის ქვეშევრდომი მუშები თავალებით გარბიან, ციხის კომენდანტმა მოწოდებით მიჰმართა ადგილობრივ ოსმალებს და ურჩევს განაგრძონ მშვიდობიანი შრომა მუშაობა და ნუ უჯერებენ ბოროტ ენებს, ვინაიდან, მიუხედავათ ამისა რომ ოსმალეთი იარაღს ისხავს, რუსეთის მთავრობას აზრათ არა აქვს მასთან კეთილი განწყობილება მოსპოს.

**ოდესსა.** 18 აგვისტო. კოსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ მობილიზაცია წარმოუდგენელის სიჩქარით ხდება. მოდიან ახალ-ახალი დასტები (პარტიები) გერმანელ ოფიცრებისა, სპეციალისტებისა და ჯარისკაცებისა. შემოაქვთ გერმანიაში დამზადებული იარაღები და ყუმბარები. ამისდა მიუხედავათ საზოგადოებაში თანდათან მტკიცდება ის აზრი, რომ დაცულ იქმნეს მტკიცე ნეიტრალიტეტი, ვინაიდან ენვერ ფაშის პოლიტიკა დაჰღუპავს ოსმალეთის იმპერიასო. ცენზურის გამო რუსეთისა და საფრანგეთის სამზღვრებიდან მოსული ამბები ისეთნაირად მოდის, თითქოს გერმანიას სრული გამარჯვება მოეპოვებინოს და რუსეთი და საფრანგეთი კი დაღუპულიყოს. ოსმალეთის პოზიცია მხოლოდ სალაათბეის ბუქარესტიდან დაბრუნებისას გამოირკვევა, მას მოლაპარაკება აქვს რუმინიასა, ბულგარეთსა და საბერძნეთთან.

**თეირანი.** 18 აგვისტო. ომის დაწყებიდანვე ადგილობრივი პრესსა აღნიშნავს, რომ უჯარო სპარსეთი განზე უნდა იდგეს და სასტიკათაც დაისჯება, თუ მსოფლიო ომში ჩაერიაო, ამ უკანასკნელ დღეებში, მას შემდეგ, რაც ოსმალეთი ომის გუნებაზე დადგა გერმანიისა და ავსტრიის საელჩოთა აგენტები სცდილობენ დააჯერონ სპარსელები, რომ რუსეთი საბოლოოთ დამარცხდაო. რეიტერის სააგენტოს ცნობებს ინგლისელთაგან გამოპარილებს უწოდებენ. ინდოეთის დასამშვიდებლათ ბაზარში ლაპარაკობენ ვითომც პარიზს გერმანელებმა უკვე ალყა შემოარტყეს და ადერბეიჯანის მხრიდან ოსმალები რუსეთს შეესივნო. ამისდა მიუხედავათ, როცა ჩვენი ელჩი, აქაურმა წარჩინებულებმა ინახულეს, ამტკიცებდენ: ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ ოსმალეთმა თვითვე მოაწეროს ხელი თავის სასიკვდილო განაჩენს... და თუ ოსმალეთი დაირღვა სპარსეთი მოგებული დარჩებაო.

**ტოკიო.** 19 აგვისტო. იაპონელებმა ახლად დაიპყრეს ოთხი კუნძული. ამჟამათ კიოჩაოს ყველა კუნძულები იაპონელების ხელშია. იაპონელებმა ათასზე მეტი ნაღმი ამოიღეს.

**პეტროგრადი.** 19 აგვისტო. გერმანიის ჯარის გადაყვანა-დასავლეთ ფრონტიდან აღმოსავლეთისაზე გრძელდება. გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ რუსეთის არტილერიის ცეცხლის სიძლიერეს.

**სალონიკი.** 19 აგვისტო. საბერძნეთის ესკადრის 12 პატარა გემი წავიდა დარდანელისაკენ. ძველ საბერძნეთში თავს იყრიან ჯარები. მოაქვთ პატრონები და სხვა იარაღი, რადგან დღითიდღე ელიან ომის გამოცხადებას ოსმალეთის მიერ. აქ მოვიდენ გემებით გამოქცეული ბერძნები, თურქების მიერ გამოძევებულნი .მარმარილოს ზღვის ნაპირებიდან საზღვარ-გარეთიდან მოდის აუარებელი რუსის მოგზაური, რომელთაც აკლიათ ფული და ყოველდღე იგზავნებიან რკინისგზითა და ზღვით რუსეთში. მესსაჟერიმარიტიმმა განაახლა წესიერი მიმოსვლა ოდესსასთან.

**კოპენჰაგენი.** 19 აგვისტო. სანოვაგის ფასების გადიდების ხელისშესაშლელად დანიის ქალაქებში დაარსდა ,ფასების დამწესებელი კომისიები. პურის საგზლები კოპენჰაგენსა და მიდამოებში ხაზინამ შეისყიდა.

**ლონდონი.** 18 აგვისტო. პალატაში ზოგიერთმა წევრმა უსაყვედურა მთავრობას, რატომ ცოტა ცნობას იძლევითო ომის შესახებ და გააძლიერეთო—ცენზურაო. სხვები იცავდენ ბეჭდვით ბიუროს, ასკვიტმა განაცხადა, სამინისტროს მოუცლელობის გამო არ შეუძლია ყველაფერს ყური უგდოს და დაუმორჩილოს ბეჭვდითი სიტყვა პასუხისმგებელ მინისტრსო.

**ტოკიო.** 18 აგვისტოს რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის საელჩოების სახლების წინ ხალხი სამეგობრო მანიფესტაციებს მართავს.

**კოპენჰაგენი.** 19 აგვისტო. საგარეო საქმეთა სამინისტრო ურჩევს, ვინც შვეციაში მიდის, თან იქონიოს პასსპორტი.

**პეტროგრადი.** 19 აგვისტო. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი აცხადებს, რომ 18 აგვისტოს ვარშავის ოლქის სამხრეთ ფრონტზე დიდი ბრძოლა იყო მთელ სამხრეთ ფრონტზე. ავსტრიელების ყველა იერიში მოვიგერიეთ. ჩვენი მარჯვენა ფრთისკენ შევუტიეთ და მტერი უკან დავხიეთ. ხელში ჩაგვივარდა სამი ზარბაზანი, 10 ტყვის მფრქვეველი და ათასზე მეტი ტყვე. ტყვეების სიტყვით ავსტრიელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენი ჯარები, რომელნიც შევიდენ გალიციაში, დაუბრკოლებლად განაგრძობდენ წინ სვლას ლვოვისკენ. მტერი, ჩვენი ჯარების—წინსვლის გამო თანდათან უკან იხევს. ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ზარბაზანი, ტყვის მფრქვეველნი და პატრონებიანი ყუთები. მტერს ვდევნით. მეტად ძლიერი ბრძოლა იყო მდინარე „გნილაია ლიპასთან“, ძლიერ მაგარი პოზიცია წავართვით მტერს. მტრის ცდა, შეეჩერებია ჩვენი ფრთა გალიჩისკენ, ამაო იყო.

ავსტრიელები აქიდანაც დავხიეთ დიდი ზარალით. ბრძოლის ველზე 4,800 მტრის გვამი დავმარხეთ. ბევრი ტყვე ჩაგვივარდა ხელში, მათ შორის ერთი გენერალი, 32 ზარბაზანი, ერთი დროშა და დიდი ბარგი.

**პეტროგრადი.** 19 აგვისტო. მიწათმოქმედების მთავარი გამგის განკარგულებით გაწვეული ჯარისკაცების ოჯახებს მუქთად ეთმობათ ნაყარი ხეები სახელმწიფო ტყეებში. სწავლა-განათლების მინისტრმა წინადადება მისცა მზრუნველებს იქ, სასწავლებელთა შენობანი ჯარებს უჭირავსთ, დაქირავებულ სახლებში განაგრძონ სწავლება უფროს მოსწავლეთათვის მაინც.

**პეტროგრადი.** 19 აგვისტო. ამ დღეს სააგენტოს მოუვიდა მრავალი დეპეშა შემოწირულობათა შესახებ გაწვეული ჯარის კაცების ოჯახთა სასარგებლოდ, სხვათა შორის საბა მოროზოვის მანუფაქტურამ შესწირა ამ საქმესა და გარდასცა ქალთა კომიტეტსა და მოსკოვის ქალაქის საბჭოს 200,000 მანეთი პეტროგრადში ბერძენთა ახალშენის კომიტეტმა განიზრახა 50 საწოლიანი მოძრავი ლაზარეტის დაარსება. პეტროგრადის აზნაურობამ შესწირა წითელ ჯვარს 100,000 მანეთი. დონის როსტოვზე საბირჟო კომიტეტმა შესწირა 50,000 მანეთი და შეაწერა წევრებს კიდევ დამატებითი გადასახადი. დაჭრილთა სასარგებლოდ სხვა ადგილებიდანაც ამგვარი ამბები მოდის..

## რუსული პრესა.

„ნოვოე ვრემიაში“ ალ. პილენკო შემდეგსა სწერს: „გასაოცარია, მაგრამ უნდა კი გამოვტყდეთ, რომ გერმანია ამ ომს რუსეთის წინააღმდეგ, ერთის მხრივ, რუსული ფულითაც აწარმოებს და ეს ფული სწორედ ამ ომისთვის რუსის ქვეშევრდომებისაგან მოიგო. .

მოგაგონებთ ევრედ წოდებულ ექსტროორდინარულ სამხედრო ბეგარის ისტორიას. ამ ისტორიის დეტალები ამ ჟამად მხოლოდ ტეხნიკურ დეტალებს შეიცავენ, ამიტომ გაგახსენებთ მხოლოდ უმთავრესს. გასულ წელს, როდესაც გერმანიამ ჯარის შევსების კანონი გაატარა, გამოაშკარავდა, რომ ამისთვის საჭიროა მილიარდი მარკა. გადასწყვიტეს, რომ ეს მილიარდი ერთდროულ კონტრიბუციის (Wehbeitrag) სახით უნდა აეღო ხალხისაგან. თავისთავათ ცხადია, რომ კერძო პირთაგან გადახდილ ფულის რაოდენობა დიდი იყო. ყველას, ვის შემოსავალიც ასი ათას მარკას უდრიდა წლიურად, გადახდა ასიდან -ორას პროცენტამდე იმ პირდაპირ გადასახადებისა, რომლებსაც იხდიდენ ისინი. კონტრიბუცია აიღეს სხვათა შორის იმ რუსებისაგან, რომლებიც მისდევენ მრეწველობისა და ვაჭრობის საქმეს გერმანიაში.

რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა პროტესტი განაცხადეს არა გერმანელ ქვეშევრდომთა გაბეგვრისათვის, რადგანაც რუს-გერმანულ ხელშეკრულების ძალით, რუსის მოქალაქენი თავისუფალნი არიან ყველანაირ ექსტრო-ორდინარულ გადასახადებისაგან. როგორც ვიცით, ამაზედ გერმანიის მთავრობამ ამ წლის დასაწყისში უზრდელად უპასუხა რუსეთს მის შეკითხვაზედ. მაშინ საკითხიც კი აღიძრა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჰააგის ტრიბუნალს გადასცემოდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### კონსტანტინოპოლში.

ფიქრობენ, რომ როგორც კი დღესასწაული ბაირამი გათავდება, ოსმალეთი ომს გამოაცხადებს. ქუჩებში განუწყვეტელი მეცადინობაა ჯარებისა. კრეისერები „გებენი“ და „ბრესლაუ“ გამზადებული დგანან.

### გერმანელი კონსული ანდერსი.

როგორც არზრუმიდგან იუწყებიან, უკვალოდ დაიკარგა გერმანელი კონსული ანდერსი. ანდერსი არზრუმის სამხედრო შტაბს სათავეში უდგა და უმისოდ ერთი სხდომაც არ ყოფილა. ამ გაზაფხულზე ანდერსი კავკასიაში წავიდა, ვითომდა მამულის საყიდლად ნამდვილათ კი მის მოგზაურობას ის აზრი ჰქონდა, რომ ყარსის რკინის გზა დაეთვალიერებია, რათა ომის დროს შახალინის ხიდი აეფეთქებინა.

### გენერალი სანდერსი.

როგორც ამბობენ, გენერალი სანდერსი ოსმალეთს იმპერატორ ვილჰელმის დავალებით დახმარებას ჰპირდება, თუ კი იგი რუსეთს ომს გამოაცხადებს და კავკასიაზედ გაილაშქრებს და ყირიმსა და ოდესსას თავს დაეცემა.

### დარდანელი.

დარდანელის ფორტებ სელიმსა და სულტანიეზედ ოსმალები კრუპპის დიდ ზარბაზნებს სდგავენ. მუშაობა გერმანელ არტილერისტ-ინჟინერების ხელმძღვანელობით ხდება.

### ოსმალეთის პრესსა.

ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი მეტად აღელვებულია იმ გარემოებით, რომ ინგლისმა მისი სამხედრო გემები ,,სულთან ოსმანი'' და ,,რეშადიე'' დაატყვევა.

„იკდამი“ სწერს:

— ოსმალეთის გემების დატუსაღებამ საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო ოსმალეთზე, არამედ მთელ სამუსულმანო ქვეყნებზე. ამ საქციელმა პირდაპირ გულში დაგვკრა დანა. მალე იჩენს თავს იმ შთაბეჭდილების შედეგი, რომელიც მოახდინა მუსულმანებზე გემების კონფისკაციამ“.

„ტანინი“ ამბობს:

— ოსმალეთის გემების დატუსაღებამ ყველა მუსულმანებზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. სურვილი ჩვენის მთავრობისა, რომ ოსმალეთს ძლიერი ფლოტი ჰყოლოდა, ამრიგად, დათრგუნვილია ინგლისელების ძალადობისაგან. მაგრამ ოსმალეთი მამაცურად აიტანს ამ უბედურებას და არასოდეს არ დაივიწყებს მას.

„საბახი“ სწერს:

— „სულთან ოსმანის“ და „რეშადიეს“ წართმევით, ინგლისს ოსმალეთის და მუსულმანების საუკეთესო იმედების მოსპობა სურდა, მაგრამ იმ დიდ მწუხარების დროს, რომლითაც ვართ მოცულნი, ჩვენ საკუთარ მწუხარებაზე უფრო ნაკლებ ვფიქრობთ, ვიდრე იმ შედეგებზე, რომელიც ხვდა წილად ინგლისს“...

### საფრანგეთი.

ომის პირველ შედეგათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ საფრანგეთმა სამღვდელოების დევნა მოსპო. ჯარის ყველა ნაწილებში ახლა მღვდლები დაინიშნენ და ამრიგად კომბისა და ანდრეს მიერ გამოცემული ცირკულიარები, რომლითაც სამღვდელოება განდევნილი იყო ჯარიდან, უკუგდებულ არიან.

### ბრიუსელისა და ლიეჟის ბედი.

„ბერლინერ ტაგებლატტი“ სწერს:— „ბელგიის სატახტო ქალაქის შესახებ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ აშკარაა, თუ ჩვენ, გერმანელები, დავიჭერთ რომელიმე პუნქტს უცხო ტერიტორიისას, მას აღარ დავაბრუნებთ“.

„ლოკალ ანცაიგერი“ ბრიუსელის დაჭერას ჯილდოთ სთვლის გერმანელებისთვის, იმ „ჯიუტობისთვის“, რომელიც გამოიჩინეს ბელგიელებმა, რომლებმაც ინგლისის ბრძანებით მშვიდობიან შეთანხმებას სისხლის ღვრა არჩიეს. ყოველ შემთხვევაშიო, ამბობს „ლოკ. ანცაიგ.“ თუ ბრიუსელი არა, ლიეჟი მაინც გერმანულ ქალაქად უნდა გადიქცესო.

### იმპერატორი ვილჰელმი.

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ იმპერატორი ვილჰელმი რუსეთის საზღვარზე მოდის და პირადათ აპირობს ჯარების ხელმძღვანელობას.

### ბრძოლა შარლერუასთან.

„ტიმესის“ კორესპონდენტი, მნახველი შარლერუას ბრძოლისა, შემდეგ ნაირად აგვიწერს მას: „9 აგვისტოს, დილით ადრე, ფრანგები ძლიერის იერიშით წამოვიდნენ გერმანელებზედ. დაიწყო ბრძოლა, რომლის დროსაც ყველაზედ მეტ ყურადღებას აფრიკელ ტურკოსსების იერიში იპყრობდა. ბრძოლა თვით ქალაქში გადავიდა. მალე შარლერუას ქუჩები ისე აივსო დახოცილებით და დაჭრილებით, რომ მოძრაობა შეუძლებელი გახდა. ბევრ ადგილას გვამების ხროვები იდგა. ფრანგის ჯარები რკინის გზის სადგურთან შეფერხდნენ და აქ გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც ორ საათს გასტანა. ფრანგების არტილერია წინა პოზიციებზე გამოვიდა და ქალაქს სროლა დაუწყო, ცოტა ხნის შემდეგ ფრანგების ქვეითა ჯარმაც მოახდინა კონტრ-იერიში და ქალაქის ზოგიერთი მიდამოები დაიჭირა, ამ დროს ორივე მხარეს ბევრი ზარალი მიადგა. საღამოთი ომი შესწყდა, მაგრამ განთიადისას კვლავ განახლდა, როცა ფრანგებმა ქალაქის ქვემო ნაწილზე მიიტანეს იერიში. ბრძოლა რომ დასრულდა შარლეროა გადამწვარი და დახოცილებით სავსე იყო.

### ბელგია ომის წინა დღეს.

ბრიუსელის გაზეთ ,,ველბე'' 4 აგვისტოს ნომერში ომის წინადღეს შემდეგი მეთაური იყო დაბეჭდილი.

,,ბელგიელებო! სამშობლო განსაცდელშია! ბელგიელებო, აღსდგით ყველანი, რომ დაიცვათ თავისუფლება იმ მიწისა, რომელიც მორწყულია ჩვენ მამა-პაპათა სისხლით, რომელიც ჩვენმა მამებმა გაანთავისუფლეს 84 წლის წინეთ და რომელზედაც ჩვენ ვმუშაობდით, რომ გარდაგვექმნა იგი მდიდარ და ნაყოფის მომცემათ. ბელგიელებო! დადგა წუთი, როცა უნდა გადაწყდეს, დავრჩებით თუ არა თავისუფალ ერათ ისტორიის წინაშე და ღირსათ ჩვენის წარსულისა. ტირილი გვახრჩობს, როცა ვსწერთ ამ სტრიქონებს. ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით ამას თვით უსასტიკეს პესსიმიზმის დროსაც. ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ასე უხეშად დაარღვევდენ ჩვენს ნეიტრალიტეტს. კვირას გერმანიის ელჩმა ჩვენს მთავრობას ულტიმატუმი გადასცა. ბელგიას ურჩევდენ, რომ თვითონ მას დაერღვია თავისი ნეიტრალიტეტი და უკუეგდო ინტერნაციონალური ვალდებულებანი. მას ურჩევდნენ, რომ თავისი ჯარი იმ ერის წინაალმდეგ გაეგზავნა, რომელმაც გვიშველა 1831 წ. შეგვექმნა თავისუფლება ბელგიისა და რომელმაც ორი დღის წინეთ ოფიციალურად გაგვიცხადა, რომ ხელუხლებლად დასტოვებს ჩვენს მამულს და ნეიტრალიტეტს. მეფემ, მინისტრებმა, მთავარ შტაბის უფროსებმა ითათბირეს წუხელის და დილით ბელგიამ პასუხი გასცა, ერთად ერთი პასუხი, რომ ბელგიის ერმა შეუდრეკლად გადასწყვიტა იბრძოლოს უკანასკნელ სახსრამდის. მეფესა და მთავრობას სჯერა თქვენი პატრიოტიზმი და სიგმირე. ბელგიელებო, ვისაც თავისუფლება გინდათ, დადგა წუთი, შეასრულოთ თქვენი ვალი და შეასრულოთ ბოლომდის''.

როგორც ვიცით ეს მათი თავისუფლება ჯერ-ჯერობით გერმანელების ხელშია.

## ენვერ-ფაშას მოწოდება.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ შემდეგი მოწოდებით მიმართა ოსმალებს.

„შარშანდელი მრისხანე ომის წყალობით ჩვენ დავკარგეთ დიდი მუშელია; 100,000-ზე ჩვენი ქალები და ბავშები გაჟლეტილ იქმნენ მტერთა ხიშტებით. ჩვენი სამშობლო—ეს ოქროს წყარო და აკალდამა ჩვენ სახელოვან წინაპართა—დარჩა ურწმუნოთა ულლის ქვეშ.

„ბრძენ მონარქის, ბრწყინვალე სულტან სულეიმანის მეფობის დროს მთელი მსოფლიო ქედს იხრიდა ჩვენი მთავრობის წინაშე, და ჩვენი საზღვრები ერთი თვის სავალ მანძილამდე აღწევდა სტამბოლიდან.

„მაგრამ კმარა განცდილი უბედურება! მთავრობა და ერი ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა მიდიოდენ. ის უბედურება, რომელიც ჩვენ თავს დაგვატყდენ, შემდეგი იყვნენ ერის დაუდევრობისა და მცხოვრებთა საომრად მოუმზადებლობისა.

„შვილნო სულთანისანნო! ოსმალებო, 400 კარავთაგან ერთ ტომათ შემდგარნი და დამაარსებელნი 100 მილიონ მცხოვრებთა დიდი სახელმწიფოისა, იყვნენ მაგარნი, როგორც ფოლადი, ერთგულად ემორჩილებოდენ თავიანთ უფროსებს და ალლახის ეშინოდათ. მთელ დღესა და ღამეს ატარებდენ ცხენებზე ჯირითით სამხედრო გარწთვნაში და არ უყვარდათ საყავეებში მთქნარება და ძვირფას საბნებში ძილი, მსგავსად თანამედროვე სულმოკლე ახალგაზრდებისა.

„თუ თვითეული ოტამანი თავდებით მიჰყოფს ხელს სამხედრო გარწვთნებს, თუ ისე ყოჩაღათ იხმარს იარაღს, რომ თვითეული შესძლებს ტყვიით განგმიროს თითო კაცი, მაშინ ვერავითარი მტერი ვერ შესძლებს გაუმკლავდეს ფიზიკურათ, სულიერათა და გონებრივათ ძლიერს ოტტომანის ხალხს!

„ჩვენმა დიდებულმა მონარქმა ბრძანა დაარსება შევარდენთა კლუბებისა, სკოლებისა და მედრესები. თვითეული ახალგაზრდა ვალდებულია თავისი ხელები, ფეხები და სხეული სამხედრო გიმნასტიკის შემწეობით გააფოლადოს. ამის შემდეგ მთავრობისაგან მიღებულ თოფით გაირწვთნება სროლაში.

„ყველა ძველმა და ახალმა, ერთად შეერთება, ყველამა უნდა შეადგინონ შევარდენთა კლუბები. და როდესაც მთავრობა დაინახავს, რომ საქმეს ბეჯითად ეკიდებიან, იგი დაუნიშნავს მათ ინსტუქტორებს და მუყაითსა და მეცადინე კლუბებს სუბსიდიებს მისცემს.

„სამხედრო სამინისტრო დააჯილდოებს მენდლებისა და ქების ფურცლებით იმ პირებს, რომელნიც იმეცადინებენ კლუბთა განვითარების სასარგებლოდ; ხოლო ის ახალგაზრდები, რომელნიც ამ კლუბებიდან გამოვლენ, სამხედრო ბეგარის მოხდის დროს პრივილეგიათა მთელის რიგით ისარგებლებენ.

„ჩვენ ყველამ უნდა გავიმაგროთ ჩვენი ხელ-ფეხი, გავირწვთნათ სროლაში, რათა დაჰკრავს—რა წუთი ჩვენის მტერთან შებრძოლებისა, კლუბის წევრნი, როგორც ლომები, მოზვავდნენ ბაღდადიდან, და მასკიდან, არზრუმიდან, დინიდან, კონიიდან და ჩვენი ძვირფასი სამშობლოის ყოველი მხრიდან, წარმოდგენ ჩვენის დიდი ხონთქარის თვალთა წინაშე და შეასრულონ სამხედრო აღლუმები.

„ღმერთი იყოს თქვენი შემწე!“

# ქუთაისი

### ახალი ამბავი.

კვირას, 24 აგვისტოს, დილის 11 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, გუბ. თავ.-აზ. წინამძღოლის თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით შესდგება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივი კრება. კრებაზე განიხილავენ ომთან დაახლოვებულ საკითხებს.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მერვე კლასის ეგზამენები უკვე დასრულდა. ეგზამენებზე იყო სულ 44 კაცი, მათში ჩაიჭრა 5.—39 კაცმა კი გიმნაზია დაასრულა. აი მათი გვარებიც.

ასათიანი ანტიოსი, ასათიანი მერკვირი, გერსამია გიორგი, გრიგორაშვილი გრიგოლი, დადიანი ივანე, ქაჯაია ვალერიანი, კედია ივანე, მგალობლიშვილი დიმიტრი, მებუკე დავითი, რობაქიძე ალექსანდრე, საყვარელიძე ამბროსი, თაყაიშვილი ალექსანდრე, ხუნდაძე ელიზბარი, ხუნდაძე სიმონი, წერეთელი სიმონი, იალამოვი ლეონიდე, ბოხუა კალისტრატე, აბაშიძე ალექსანდრე, ასათინი ილია, ასათიანი გრაბიტონ, ბზიავა დავითი, ბოკუჩავა ნესტორი, გაბუნია აპალონ, გეგენავა ვლადიმერი, დადიანი ალექსანდრე, ჯაფარიძე ვალერიანი, იაშვილი პავლე, ქარასანიძე მელქისედეკი, კაჭახიძე აკაკი, ყიფიანი ლევანი, ყიფიანი პლატონი, კუჭაიძე პოლიევქტოსი, ლაბაძე ვლადიმირი, მაღლაკელიძე შალვა, მხეიძე საბა, ხარებავა ალექსანდრე, ცირღილაძე ვიქტორი, ჭყონია იონა და ჩხეიძე მიხეილი.

✦ 13 აგვისტოს ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებამ დაადგინა: 1) გადადვას ქალაქის კასიდან ერთი ათასი მანათი ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ და 2) შეინახონ 25 საწოლი ქალაქის საავადმყოფოში ომში დაჭრილთა მოსათავსებლათ.

✦ გუშინ, 20 აგვისტოს, ქალაქის გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორს დასამტკიცებლათ გაუგზავნა 13 აგვისტოს საგანგებო კრების ოქმის პირი.

✦ 19 აგვისტოს ოლქის სასამართლომ გაარჩია ვასილ გობიჯანიძის საქმე. მას ბრალდებოდა მატარებელში სხვადასხვა ნივთიერების მოპარვა. სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და ერთი წლის გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა ყოველივე ღირსების ჩამოხდით.

✦ იმ საგანგებო კომისიას, რომელიც შესდგა ქალაქის თავის თავჯდომარეობით ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ,—შემდეგი პირები მიემატა ბ.ბ. გ. ზდანოვიჩი, ი. ოცხელი, მ. ფაღავა, ი. პურადაშვილი, ი. კემულარია, ა. კრინიცკი, რ. დათეშიძე. ზ. მაჭავარიანი, გრ. ბარათაშვილი, ს. ი. ხეჩინოვი, მ. ლოლიძე, გ. ბადრიძე, გ. გოკიელი, ვლ. წერეთელი, ს. ეზიკოვი, ნ. ბარაბაძე, გ. ქუთათელაძე, ებრაელების რაბინი ელუაშვილი, ნ. მ. ჯანელიძე, არ. ელიგულაშვილი, ბ. მოსეშვილი, პ. გოკიელი, მ. მოშიაშვილი, შიმ. იაკობიშვილი, არ. ციციაშვილი, ფ. ჭელიძე, დ. ქებაძე, ე. პატარიძე, გ. ბაზაძე, ი. აბრამიძე, ისააკ მესხი, ი. ალიბეგოვი, მ. კასუმოვი, მ. ჭავჭანიძე, რ. რიჟინაშვილი, ბ. ყუფარაძე, ი. ტყეშელაშვილი, ი. ბექაია და ბ-ნი კოცენშოგენი.

✦ 18 აგვისტოს ქალაქის სანიტარებმა სანიტარული ექიმის ვ. წერეთლის თანადასწრებით ტომრები პურის ფქვილით დაუბეჭდეს კაკიტელაშვილსა და რუხაძეს. ნიმუშები ქალაქის ლაბორატორიაში გაგზავნეს.

## წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ვინც 1 ენკენისთვემდე მთელი წლის გაზეთის ფასს არ შემოიტანს, 1 **ენკენისთვიდან გაზეთის გზავნა მოესპობა**, შემდეგ ფულის შემოტანისას დაკლებულ ნუმრებს რედაქციიდან ვერ მიიღებს. ვთხოვთ ადგილობრივ ხელის მომწერთ, რომ გაზეთის დამტარებლებს რედაქციის კუთვნილ ფულს ნუ გადასცემენ. წინაალმდეგ შემთხვევაში პასუხს არ ვაგებთ.

✦ დღეს, 21 აგვისტოს საზოგადო; საკრებულოში შესდგება საოჯახო საღამო, ლოტო და ცეკვა.

✦ 19 აგვისტოს საოლქო სასამართლოში გაირჩა ალექსანდრე ქლენტისა და აკაკი მიქელაძის საქმე, პირველს ბრალდებოდა პოლიციელების წინააღმდეგობა და მათი მოკვლის განძრახვა -მეორეს კი კულაშის ბოქაულის წინააღმდეგობა, სასამართლომ ორივე დამნაშავეთ იცნო. ქლენტს სასამართლომ ორი წლისა და ოთხი თვის კატორღა მიუსაჯა ღირსების ჩამორთმევით,, მიქელაძეს კი 4 დღე ციხე.

✦ 23 აგვისტოს ოლქის სასამართლო გაარჩევს ტრიფონ მარაკველიძისა და ვასილ ალექსანდროვის საქმეს.

## ხმა სოფლიდან.

ფოცხოს საზოგადოება (**ოდიში**). ახალსენაკიდან, ოცდახუთი ვერსის დაშორებით, ძევს უზარმაზარი ფოცხოს საზოგადოება. თუმცა ამ საზოგადოებაში საგაზეთო ბევრი რამ მომხდარა, მაგრამ ჯერ მას არ ღირსებია ხსენება გაზეთის ფურცლებზე. საგაზეთოა, აბა რა არის ის გარემოება, რომ ამ უზარმაზარ საზოგადოებაში, სამაზრო ქალაქის ახლოს არ მოიპოება არავითარი კულტურული დაწესებულება, გარდა ერთი ერთკლასიანი სამინისტრო და ერთი ერთკლასიანი სამრევლო შკოლისა, როდესაც მთელს ქუთაისის გუბერნიაში არ არის იმისთანა საზოგადოება, სადაც არ იყოს ერთი ორკლასიანი და რამდენიმე ერთკლასიანი შკოლა მაინც. ეს ორი შკოლაც ძლივს ღაფავს სულს, რადგანაც ის მოკლებულია მცხოვრებლების ყურადღება-თანაგრძნობას.

30 ივლისი საბედისწერო დღე იყო ფოცხოს საზოგადოების მცხოვრებთათვის. საღამოს ოთხ საათზე ცა მრისხანეთ მოიღუშა; ცოტა ხანს შემდეგ ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, რომელსაც მოყვა ქარი და კოკისპირული წვიმა. ეს საშინელი ჭექა-ქუხილი, ქარი და კოკისპირული წვიმა გაგძელდა თითქმის გათენებამდი. ამ თვსზარდამცემ ბუნების მოვლენათა გრიალს მალე ზედ დაემატა საშინელი ღრიალი რუ-ღელეების, რომელნიც რამდენიმე წუთში დიდ მდინარეებათ იქცენ. მთელი სოფელი ზღვათ გადაიქცა. ადამიანი თავშესაფარ ადგილს ვერ იშოვნიდა, რადგანაც სახლებში მინდვრის წყალი თავისუფლათ შედიოდა; მცხოვრებლებმა თითქმის მთელი ღამე უძილობაში გაატარეს შიშისაგან, რადგანაც არ იცოდენ – როდის აყრიდა მათ წყალი, და საწოლი ადგილიც აღარსად იყო. ყველამ კარგათ იცოდა, თუ რა საფრთხე მოელოდა მინდორში დარჩენილს შინაურ ცხოველებს, მაგრამ შიშისაგან გარედ გამოსვლას ვერავინ ბედავდა. გათენებისას ბუნება დაწყნარდა. მცხოვრები გარედ გამოცვივნდენ, რათა ენახათ, თუ რა ჰქნა ნიაღვარმა. მთელი საზოგადოება წარმოადგენდა გულშემზარავ სურათს; სიმინდი სულ მთლად მიწაზე დაეფინა ქარს და წყალს; მოთოხნილი მიწაც სულ ერთიანათ დარეცხილიყო. ამ საზოგადოებას ჩამოუდის ოთხი პატარა მდინარე: ცივი, გურძემია, მეტერია და ქვიშია ანუ კოლოპია. ეს ოთხი პატარა მდინარე გადაქცეულიყვენ უზარმაზარ მდინარეებათ; წყალი გადმოსულიყო ნაპირებზე და ოცი-ორმოცი საჟენის სიშორეზე არ დაეტოვებია არც სიმინდი, არც ღობეები, არც ხიდები და არც ხეები; სულყველა ძირიან-ფესვიანათ დაეთხარა და წაეღო. თუ სადმე რუ ჩამოდიოდა, არც იქ დარჩენილიყო ღობეები და ხიდები. წაღებულია ათამდი წისქვილი და მასში დამხჩვალია ბევრი ოთხფეხი ცხოველი: ცხენი, კამეჩი, ხარი, ძროხა და სხვა, რომელნიც მინდორში იყვენ. სალორეებში ბევრს ალაგას გამომხჩვალია ღორები და გოჭები. ზოგს ალაგას მიწაც დაქცეულია. ზარალი დიდია; სულ მცირე ანგარიშით აღემატება ორ ათას მანეთს. ხალხი დრტვინავს; სასოწარკვეთილებასაა მიცემული: მან იცის, რომ საგაისოდ სიმშილი აუცილებლათ ესტუმრება, რადგანაც წინა თვეების წვიმებით დაზიანებული ყანები ახლა ნიაღვარის ხვედრი შეიქნა. არც სხვა სოფელი იქნება უკეთესს მდგომარეობაში, რის მაჩვენებელიც არის ის, რომ მეორე დილას წყალს მოქონდა სახლის ფიცრები, კარები, სხვა მასალა და დამხჩვალი ცხოველები. სულყველა გაიძახის, რომ ამისთანა უბედურება ჩვენს სიცოცხლეში არ მოგვსწრებიაო. საჭიროა დახმარება.

**სამსონ მუმულია.**

P. S. ეს წერილი მზათ იყო, როცა ადგილობრივ მამასახლისს მოუვიდა მოწერილობა ძველ სენაკის ბოქაულ ბ. გ. გენავასაგან, რათა ზარალის რაოდენობა ეცნობოს მას. ამ საქმეს, როგორც ყო-

# კონკლავა.

### როგორ ხდება პაპის არჩევან.

პაპის გარდაცვალების უმალვე ყველა საქმეთა ხელმძღვანელობას კარდინალთა წმინდა კოლლეგია ღებულობს. თავმჯდომარეთ კარდინალ-კამერლინგია- (დროებით მოადგილე პაპისა) კოლლეგია იბარებს ყველა კარდინალებს, რომლებიც კი რომში არიან და კონკლავისთვის სადგომს ამზადებს.

პირველი წინასწარი კრება დიდის ზეიმით ხდება: ნალივით მორგვალებულ მაგიდაზედ შუა ადგილი კამერლინგს უკავია. მარჯვნით უხუცეს კარდინალს უჭირავს ადგილი. შემდეგი ადგილები იერარხიულ უმფროსობის წესრიგით უკავიათ ეპისკოპოსთა ორდენის კარდინალებს, სამღვდელოთა ორდენის კარდინალებს და დიაკონთა ორდენის კარდინალებს. უმცროსი კარდინალ-დიაკონი კრების მდივნობას ეწევა.

წინასწარი კრებები კონკლავის გახსნამდე გრძელდება. ამ დროს ყველა ეკლესიებიდგან და კოლლეგიებიდგან განსვენებულ პაპის გერბებს ხსნიან. გერბები მხოლოდ იმ ეკლესიებზედ რჩებიან, რომლებიც განსვენებულისგან არიან დაფუძნებულნი.

ვატიკანში ამ დროს ცხარე მუშაობაა. კალატოზების, დურგლების, მღებავების და ზეინკლების ლაშქარი კონკლავისთვის სადგომს აკეთებს. Galleria lapidaria-ში ლეიბებსა და ბალიშებს ამზადებენ კარდინალებისთვის. გადმოაქვთ წვგნები და ჩემოდანები კარდინალებისა, მოაქვთ სურსათი, ყვავილები, ღვინო.

წმ. დამასკის კორტილიის პირველ სამსართულს მდგმურებისაგან აცარიელებენ. განსვენებულ პაპის აპარტამენტებში კასსა და განსვენებულის დოკუმენტები გადააქვთ. წმ. დამასკის კორტილიაში ექვს არშინიანი ქვის კედელი აჰყავთ. ქვის კედლებითვე ამოჰყავთ ყველა შესავლები კონკლავის სადგომისა. ,,სენაკები'' ამ დროს მთლად მოწყვეტილია ქვეყანას, ფანჯრებსაც კი ფიცრებით სჩულავენ.

ბრწყინვალე, საპარადო ფორმაში გამოწყობილი და „კეთილშობილთა გვარდიის“ გარშემორტყმული თავადი კიჯი კონკლავის სადგომს ათვალიერებს. თავად კიჯების გვარს ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნიდან ჩამომავლობით აქვთ მიკუთვნებული ვატიკანის არმიის უმფროსობა და კონკლავის ზედამხედველობა. თავად კიჯსავე ეკუთვნის ფულის მოჭრის უფლება კონკლავის დროს.

ხავერდის მანტიაში, ოქროს ხმლით და ფრთებით მორთულ ქუდში მყოფი თავადი კიჯი უკანასკნელ განკარგულებებს იძლევა. მიდის კონკლავის სადგომში და აუწყებს წირვის დაწყებას. კარდინალები სიკსტის კაპელაში იყრიან თავს და სწირავენ De spiritu Sancto. კოლლეგიის დავალებით უმჭერმეტყველესთაგანი კარდინალი ქადაგებას — ამბობს (ნამდვილად-სიტყვას), რომელშიაც კარდინალებს მოუწოდებს დასტოვონ ყოველივე ამ ქვეყნიური და მხოლოდ ღმერთზე იფიქრონ. ამის შემდეგ კათედრაზე მეორე კარდინალი ადის და კითხულობს სიტყვას პაპის არჩევის შესახებ. კარდინალები აღთქმას სდებენ წმიდათ დაიცვან სამოციქულო წესები და იშლებიან.

საღამოს კვლავ იყრიან თავს კარდინალები. ამ დროს ყოველ მათგანს თითო მდივანი (კონკლავისტი) და ორი შვეიცარიელი გვარდიელი ახლავს. კარდინალები ცერემონიით „სამეფო დარბაზში“ გაივლიან, სიქსტის კაპელლასთან მივლენ და ადგილებს იკავებენ.

კარდინალები აქ კამერლინგისა და თავად კიჯის წინაშე აღთქმას სდებენ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი.

სწორედ ღამის თორმეტ საათზე კონკლავის ცერემონიმეისტრები აცხადებენ:

—Extra omnes!—ზარს რეკავენ და გარეშენი გარეთ გადიან.

„სამეფო დარბაზის“ კარებთან სდგას თავადი კიჯი. იგი სალამს აძლევს კამერლინგს, რომლის შემდეგ კარებს კეტავენ და ჯაჭვს უშვებენ. კარდინალები ახლა მარტონი არიან. კონკლავი იწყება. არჩევანი სიქსტის კაპელლაში ხდება, კედლის გარშემო კარდინალებისთვის სათითაო ტახტია დადგმული. ტახტის წინ მაგიდა სდგას, რომელზედაც ვერცხლის სამელნე, კარანდაში, კალმები, სანთელი და ასანათი აწყვია, შუაგულში დიდი მაგიდა სდგას, რომელსაც გარს ოთხი მცირე მაგიდა უდგია.

დილის შვიდის ნახევარზე წირვას აყენებენ. შემდეგ რამდენიმე საათისა იწყობა კენჭის ყრა. კენჭის ყრა სახელდებითია. ცერემონიმეისტერები კარდინალებს „ბიულეტენებს“ აძლევენ, უნთებენ სანთელს. კარდინალები კანდიდატის სახელს სწერენ და სანთლის ბეჭედს ადებენ ბარათს.

ცერემონიმეისტრები კაპელლიდან გადიან. კარებზე და ფანჯრებზე სხვილი ფარდებია ამ დროს ჩამოშვებული. კარდინალები სათითაოთ მიდიან საკურთხეველთან, მუხლს იყრიან, სდებენ ფიცს, რომ მიუკერძოებლად მოიტანენ და სტოვებენ ბარათს.

კარდინალ-სკრუტატორს ბარათების ყუთი მაგიდასთან მოაქვს, ბარათებს ერთმანეთში ურევს და ნომრებით ალაგებს. სკრუტატორი და ორი ასისტენტი ბარათებს ხსნიან და კანდიდატების სახელს კითხულობენ. თუ არც ერთს ირ ამოუვა ორი მესამედი ხმებისა, ბარათებს ბუხარში აწყობენ, ზედ თივას ადებენ და სწვავენ, რომ მის მუქმა კვამლმა ამცნოს რომს, რომ პაპი ჯერ კიდევ არჩეული არ არის.

დილის თერთმეტსა და საღამოს ექვს საათზე წმინდა პეტრეს უზარმაზარი მოედანი მრავალის ხალხით არის სავსე, და სიქსტის კაპელიდან ამოსულ კვამლს ადევნებს თვალს. თუ პაპი არჩეულია—სწვავენ მარტო ბარათებს უთივოთ. და ბუხრიდან ამოსული სუმბუქი ბოლი ნიშნავს

Hademus Panam!

დილის არჩევნებსა და სადილს შუა კარდინალები თავისუფლები არიან. ამ დროს ისინი ერთმანეთთან დაიარებიან და „პოლიტიკას აწარმოებენ“. სადილს ერთად სჭამენ, ერთს ტრაპეზზედ, თუმცა უფლება აქვთ ცალკე სენაკებიც მოითხოვონ. მთელი შტატი მუშაობს მზარეულობისა და ეკლესიის თავადთა „ღარიბული საზრდო“ უკიდურეს გურმანს დააკმაყოფილებს.

როცა პაპი არჩეულია, მასთან კამერლინგი მიდის და ეკითხება, რომელ სახელს დაირთქმევს ახალი პონტიფიქსი. პაპი რომ თავის სახელს გამოაცხადებს — კონკლავი დახურულათ ითვლება. ტახტებზედ ბალდახინებს ჩამოუშვებენ, მხოლოდ პაპის ტახტზედ არის ამართული ბალდახინი. ცერემონიმეისტერები არჩევნების შედეგს თავად კიჯის ატყობინებენ.

კამერლინგი პაპს თითზედ „მეთევზის ბეჭედს“ უკეთებს. სასახლის მონსინიორები ახლად არჩეულს პაპის სუტტანას აცმევენ და კონკლავისტები სავარძლებს ერთმანეთს ადგავენ.

იღება კარები და კარდინალ-დიაკონი კარში გამოდის, რათა ხალხს პაპის არჩევა აუწყოს.

კარდინალები მიდიან. მხოლოდ ერთი მათგანი რჩება ვატიკანში: ეს არის ახლად არჩეული პაპი მუდმივი და ნებსითი ტყვე.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები, მიღებულია და იყიდება პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოსტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭელეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილობა ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საგები ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

ველ სხვა საზოგადოებისთვის საჭირო და სასარგებლო საქმეს, ენერგიულათ და მხურვალედ შეუდგა ადგილობრივი ახალგაზრდა მწერალი ბ. გ. შავდია. ხალხი მოუთმენლათ ელის მთავრობისაგან ყურადღებას, ვნახოთ რაც იქნება. ს. მ.

## პატარა ფელეტონი.

### ორი თასი.

„მოთხრობა — ანკეტა.

(თარგმანი.)

— მაშ, ასე, აღარ გიყვარვარ?

— ზარემახის ღრმა და შავმა თვალებმა ცეცხლი დააკვესა.

— ალეკომ უკმაყოფილოთ ხელი ჩაიქნია.

— ჩამომეხსენ, უწმინდურო!

— როგორ! გამეთამაშე და მიმატოვე? სხვა იპოვე? ულამაზესი, უნაზესი, უფრო თვალტანადი? ის უკეთ მღერის ძველ ლექსებს? ის უფრო ტკბილათ და თბილათ გკოცნის? განა უფრო ვნებით სავსეა მისი ცეკვა.

ჯირკვზე მჯდომი ახალგაზრდა ბოშა — ალეკო შურდულივით წამოიჭრა და გადაწყვეტილების გამომხატველი სახით, გახელებულმა დაუყვირა შემბრალების მომლოდინს ზარემახს.

— ეხლა არ ვეუბნებოდი — აღარ მიყვარხარ-მეთქი. სხვა ბანაკში წავალ, დამანებე თავი შეგველო, მომასვენე!

— მაშ-ასე!? დაცინვის კილოთი დაეკითხა კვლავ. სჩანს ყველაფერი გათავდა... ყველაფერს ბოლო მოეღო. არა, ჩემო კარგო, პატარა აღარა ვარ, მეთექვსმეტე წელში გადავდექ. შენ კი დაგავიწყდა, რა მოხდა ამ ერთი წლის წინათ, როდესაც შენ უჯაშუშე, ნიკოლა გლეხს, შენ თავი დააღწიე სიკვდილს და ამხანაგი კი გაეცი. მისთვის რომ შენ გეხსნა თავი. განა ერთათ არ იპარავდით ცხენებს? განა ორთავე ერთათ არ დაგიჭირეს? შენ თავი დააღწიე, ის კი მოჰკლეს... მოღალატევ! ვინ იცის ჩემს მეტმა ეს ამბავი?

ალეკო გაცეცხლდა.

— წადი! წადი მიჯაშუშე მე. შემაშინო გინდა? არ მეშინია შენი არ მეშინია! არა და არა!

— ვნახო! — ხასემანმა ბოროტებით ჩაიცინა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა შორი ახლო მყოფ ბანაკისაკენ.

—

ბოშათა ბანაკთა უხუცესი ჩამომწკრივებულიყო ირგვლივ დინჯათ ისხდნენ, ყველა ბნელ და ღრმა ფიქრს მისცემოდენ. ტანსაცმელ შემოხეული ბავშები სულ განაბული ისხდნენ, და გაკვირვებული უცქერდენ სადღესასწაულო მოვლენას. შუაში იდგა თვალ-ტანადი ალეკო. თავი ამაყათ ეჭირა, თუმცა კი შავი დათლილი თითები უცახცახებდა.

— მაშ ასე, ალეკო — მრავალ მნიშნოვანათ, ჩახლეჩილი ხმით დაიწყო საუბარი უხუცესმა ბოშამ, რომელსაც სიშავის ეშხი კიდევ არ მოსცილებოდა. — ზარემახმა წარმოადგინა ბრალდება და დამიმტკიცა კიდეც... შენ დაარღვიე საღმრთო აღთქმა მამა-პაპისა. შენ გაეცი შენი ამხანაგი. შენ, ლაჩარი დიაცივით მიატოვე იგი უკანასკნელ წუთს. შენ მოღალატე ხარ! შენვე გადასწყვიტე შენი სასჯელი. რაის ღირსი ხარ შენ?

— ორი თასი, ორი თასი! დაიგრგვინა ბოშათა ბრბომ. — მაგას მარტო თასი გაასამართლებს!

— უხუცესმა ნელ-ნელა ყველას თვალი გადაავლო.

ყველამ თავი დაუკრა და ჩურჩულით ამბობდენ.

— ორი თასი, ორი თასი...

— შეჰკარით და კარავში დაამწყვდიეთ... ხვალ დილას — მიუბრუნდა ახლა ალეკოს — შენ მიიღებ ღვინით სავსე ორ თასს: ერთში იქნება საწამლავ ნარევი ღვინო, მეორეში კი, წმინდა. არჩევანი შენია. თვით ბედმა გადაწყვიტოს შენი საქმე. ასეთია წესი ჩვენ მამა-პაპათა.

უხუცესი ჩუმათ წამოდგა. ბოშთა გუნდიც დაიშალა.

ალეკო ფეხშეკრული დასტოვეს.

როგორი ჩუმი და ზღაპრულია ჩრდილოეთის ღამე! ბნელ ცას ნაზირხევით ვარსკვლავნი ამკობენ. მთვარე საიდუმლოებით სავსე სხივებს უგზავნის ქვეყანას, ხოლო ნიავს კი საამური სურნელება მოაქვს ყვავილ-ბალახით მორთულ ველ-მინდორიდან.

ალეკო ეგდო მიწის იატაკზე და მწარე მოგონებას მისცემოდა.

ხვალ... ხვალ... სიკვდილი ან განდევნა! ახია ჩემზე! ძმის მოღალატეს ასე უნდა — გაიფიქრა ალეკომ და თვალწინ წარმოუდგა საზარელი სურათი — გამხეცებული გლეხები კეტებით რომ დასდგომოდენ თავს... ან ამხანაგის გაცემა, ან ორივეს ჩაქვავება!..

შემდეგში ბევრსა ნანობდა ალეკო. ბევრი უძილო ღამეებიც გაუტარებია სინიდისის ქენჯნის გამო, მაგრამ არავის უმხელდა ამ ამბავს, რომ ჯავრი როგორმე შეემსუბუქებინა, მხოლოდ ზრემახს, მის სატრფოს, წუთიერ სისუსტის დროს ყველაფერი უამბო. და ახლა...

სატრფომ საიდუმლო აღარ შეუნახა! ამ ამბის გაზიარების შემდეგ თემთან დაასმინა... დასცინა მას... შური ეძია.

— არა, სიკვდილი სჯობს!

კარავთან რაღაც შრიალი მოისმა.

უცბათ ფარდა გადაწია. მთვარის შუქმა შემოანათა და მას მოჰყვა შუქში გახვეული ზარემასი. ტურფა რამ იყო ზარემასი!

— მოისმინე, ქლოშინით სთქვა მან — მე აღარ შემიძლია... ხვალ დილას მეცოდინება, რომელ თასში იქნება საწამლავი. თუ მარჯვენა ხელი ავწიე აიღე მარჯვენა თასი, ხოლო თუ მარცხენა აიღე მარცხენა...

შორიდან ძაღლების ყეფა მოისმოდა. ვიღაც მოდიოდა. ზარემანი შემოტრიალდა და მოჩვენებასავით გაჰქრა.

— მანიშნებს, მანიშნებს; — იმეორებდა დაღლილი ალეკო ერთსა და იმავეს და მოსაზრების სხვა ძაფები უწყდებოდა.

— ის მანიშნებს... დავუჯერო თუ არა? ავიღო ის თასი, რომელსაც ის მიჩვენებს? მაშ რაღათ დამამცირა, რაღათ დამასმინა, რათ მიყურებდა ისეთის ზიზღით?!.

გარიჟრაჟდა. ვარსკვლავნი ქრებოდენ მჩატე, კვამლისებური ღურბლები იშლებოდენ.

— გადავწყვიტო, გადავწყვიტო, — ყოყმანობდა ალეკო, მაგრამ გადაწყვეტილებას კი ვერ დასდგომოდა...

ბოშათა მთელი ბანაკი შეიკრიბა. ყველა ჩაფიქრებულიყო, დაღონებულიყო. დინჯათ, ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა უხუცესი ბოშია გაფითრებულ ალეკოს და ორი ძველი, გვერდებ შეჭყლეტილი ვერცხლის თასი გუწოდა.

ალეკომ კანკალით ხელი გაუწოდა. თასის ჩამორთმევაში ალეკომ თვალი მიმოავლო იქაურობას და დაინახა ფერდაკარგული, ტანჯვის ღიმილით სავსე სახე ზარემახისა...

ზარამახის თვალები მკაცრათ გამოიყურებოდა. მან მოჰრით და გარკვევით მარჯვენა ხელი ასწია...

ალეკოს, რომელსაც სახეზე ყნოსვა სიკვდილის ემჩნეოდა ჩაიცინა და ერთი თასი მიიყუდა...

ალიობა.

—

შეკითხვა ქალებს:

1) რომელ თასზე მიუთითებდა ზარემახი. მოწამლულსა, თუ მოუწამლავზე?

2) რა უფრო ძლიერია ქალის არსებაში სიყვარული, თუ სიძულვილი: იმ გვარ მდგომარეობის დროს, როგორშიც იყო ზარემახი?

შეკითხვა მამაკაცებს.

1) დაუჯერებდა ალეკო ზარემახს თუ არა?.

2) რომელ თასს აიღებდა?

ა. ა.

## დაბა-სოფელი.

**ს. ხორჩანა.** (ოკრიბა). ხორჩანა, შუა ოკრიბაში პატარა სოფელს წარმოადგენს; ქუთაისიდან დაშორებული არის 20—22 ვერსის მანძილზე. სოფლელთა რიცხვი 40 კომლს არ აღემატება, იმათშიც ნახევარი აზნაურია.

სწავლა განათლებით ეს სოფელი როგორც ოკრიბის სხვა სოფლები, ჩამორჩენილია. აქ არ მოიპოვება არც სკოლა და არც სხვა კულტურული დაწესებულება.

ხორჩანის გლეხები, უმთავრესათ, ხვნათესვას მისდევენ, მაგრამ აქაური მწირე მიწა ცუდ მოსავალს იძლევა. ძვირათ თუ მოიპოვება ისეთი გლეხი, რომ მთელი წლის საკვები მოუვიდეს. გლეხები მევენახეობასაც მისდევენ, მაგრამ ღვინო მოჰყავთ იმდენი, რაც თვითონ ჰყოფნისთ.

აქაურ გლეხებს ქუთაისის ბაზარზე გასასყიდლათ გააქვთ, უმთავრესათ, ხილი: ვაშლი, სხალი, კომში, ბალი, ალუბალი, ატამი და ხენდრო (ბალის მარწყვი) რომელიც კარგ ფასში იყიდება.

ვაშლს ჩირადაც აკეთებენ, რასაც სოფელში მოსიარულე ებრაელები კარგ ფასში ყიდულობენ, რომელსაც რუსეთში გზავნიან, მაგრამ საუბედუროთ, წელს ომიანობის გამო ჩირი არ იყიდება, რაც მოუსავლობით დაზარალებული გლეხები დიდ უნუგეშობაში ჩააგდო.

საგუბერნიო დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა სესხი მხოლოდ რამდენიმე გლეხს მისცა. სხვები კი უიმედოთ დარჩნენ.

ყანები და ვენახებიც წელს კარგი იყო მაგრამ 15 აგვისტოდან ძლიერ აცივდა, რაც ჭირნახულის დამწიფებას ხელს დიდათ შეუშლის.

მოუსავლობით დაზარალებულმა გლეხებმა დღესასწაულები ჩვეულებრივათ გადაიხადეს.

ნიკ—რი.

◆

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ პირთ ვინც მე და ჩემს მომღერალ გუნდს ზნეობრივი და ქონებრივი დახმარება გაგვიწია. განსაკუთრებით მადლობას ვწირავ: დ. სახერეში მცხოვრებთ კნეინა ელისაბედ წერეთლისას შვილებით, თ-დ ამირიდონ და ალექსანდრე წერეთლებს, დ. ჭიათურაში ბ. სიმონ დ. ჯაფარიძეს, დ. ყვირილაში თ-დ მიშა მ. აბაშიძეს და პლატონ ლეჟავას, თფილისის საამხანაგო მომღერალ მგალობელთა გუნდის ლოტბარ ბ-ნ მიხეილ კავსაძეს და ქ. ბათუმში მოვაჭრე როსიის სასტუმროს პატრონს ბ-ნ ალექსანდრე სალიკის-ძე შენგელიას.

ქ. სოხუმში არსებული ქართულ-ხალხური მომღერალთა გუნდის ლოტბარი **ძ. ღოღუა.**

◆

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

ქუთაისში
ქარხნები
თბილისში

მინადორა დუნდუას
ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,
გადავიდა
ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. — 2 საათ.

## მოწოდება.

### ქუთაისის ქალაქის მოურავისა

მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრების დენა ერთიანად დაირღვა, აირია.

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭირვებული, ომიანობის დრომ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენა.

ჩვენს გალატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი ჭირისუფალი.

ჯარის კაცებათ ომში გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ მშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერ მსხვერპლს.

სამარცხვინო, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიმშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაბარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებული მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერ დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით; შეწირულების სიმცირეს ნუ მოერიდებით, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოიწირონ: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ყაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კონსერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლე, ტერმომეტრები და სხვ. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს ჩემის თავმჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში.

ქუთაისის ქალაქის მოურავი **ილ. ჩიქოვანი.**

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის აბანო,
რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.
ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი, — სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.
პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

მუშაობს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ურუშაძეების
სამკურნალო აბანო.
აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ** ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ **ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის“.

ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტრო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.
კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.